



დიპლომატი





დიპლომატიური კლუბის სასწავლო პროექტი

სპეც გამოშვება | 1 ოქტომბერი 2014



ჩინეთი

中国



祝贺你们中华人民共和国65周年

გილოცავთ ჩინეთის
სახალხო რესპუბლიკის
დაარსების 65
წლისთავს.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



ზოგადი ინფორმაცია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩინ. 中华人民共和国), ზოგადად ცნობილი როგორც ჩინეთი — მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა 1.3 მილიარდზე მეტი მოსახლეობით. ჩინეთი მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე, (პეკინი, ტიანძინი, შანხაი და ჩუნცინი) და ორ მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე (ჰონგ-კონგი და მაკაო). ჩინეთის დედაქალაქია პეკინი. აღმოსავლეთიდან აკრავს ყვითელი, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვები (წყნარი ოკეანე). სანაპიროსთან ბევრი კუნძულია, რომელთაგან უდიდესია ტაივანი და ჰაინანი. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მონღოლეთი და რუსეთი, დასავლეთიდან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი; სამხრეთით ნეპალი, ინდოეთი, ბჰუტანი, მيانმარი, ლაოსი, ვიეტნამი; ჩრდილოეთით ჩრდილოეთ კორეა. ოფიციალური ენა — ჩინური. ეროვნული დღესასწაულია 1 ოქტომბერი — რესპუბლიკის გამოცხადების



დღე (1949). ოფიციალური კალენდარი — გრიგორიანულია, იყენებენ ასევე მთვარისა და მზის კალენდარს. ფულის ერთეულია იუანი.

სახელწოდება

- ოფიციალური: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.
- ჩინური: Zhonghua Renmin Gongheguo.
- ეტიმოლოგია: ევროპულ ენებში სახელი Chine, China, Cina მომდინარეობს ცინის დინასტიისაგან. თვით ჩინელები თავის ქვეყანას უწოდებენ ქუნგუო-ს (中国), რაც „შუა სახელმწიფოს“ ნიშნავს.

გეოგრაფია



- ფართობი: 9.597.000 კვ.კმ.
- საზღვრები: საზღვაო — 14 000 კმ; სახმელეთო - 20 000 კმ.
- ბუნება: ორი მესამედი მთებსა და უდაბნოებს (მათ შორის გობის უდაბნო)უჭირავს.

გეოგრაფიული რაიონები — აღმოსავლეთი ჩინეთი, ტიბეტის ზეგანი, კუნძულის მთები და ჰიმალაები, ტარიმის და ჯუნგარის აუზები, შიგა მონღოლეთის პლატო, მანჯურია, ხუანხეს და იანძის აუზები; უმაღლესი მწვერვალი — ჯომოლუნგმა, იგივე ევერესტი ტიბეტში (8.848 მ). მდინარეები (კმ) — იანძი 5.500; ხუანხე 4.700; ამური 4.300; მეკონგი 4.200 კმ; ტბები (კმ) — ცინხაიხუ 4.000, დუნტინხუ 3.100, ლოპ-ნორი 2.500, ხულუნ-ნორი 2.400, ტაი-ხუ 2.240; კუნძული — ხაინანი 33.670 კვ.კმ; კლიმატი

— სხვადასხვა (ჰიმალაების, პოლარული, კონტინენტური, ზომიერი, ტროპიკული).

• ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, რკინის მადანი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ვერცხლისწყალი, კალა, ვოლფრამი, მანგანუმი, მოლიბდენი, ვანადიუმი, ალუმინი, ტყვია, თუთია, ურანი, მსოფლიოში უდიდესი ჰიდროენერგეტიკული რესურსები.

ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია ბუნების მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც უპირველესად განპირობებულია რელიეფისა და გეოლოგიური აგებულების თავისებურებით. რელიეფში ქარბობს მთები, პლატოები და მაღლობები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტიბეტის მთიანეთი, რომელიც უმაღლესია მსოფლიოში. ნეპალთან საზღვარზე ჰიმალაებში კი მდებარეობს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა - 8 848 მ. აღსანიშნავია აგრეთვე დიდი და მცირე ხინგანები, ცინლინის მთები, ტიან-შანი, ბეიშანი და ა.შ.

დაბლობებს უკავია ტერიტორიის მხოლოდ 12 %. ისინი ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთშია წარმოდგენილი. ცნობილია დუმბეიპინიუანის და ჩინეთის დიდი დაბლობი, რომლებიც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს რაიონებს წარმოადგენენ. ტიან-შანის მთების აღმოსავლეთით გვხვდება ტურფანის ქვაბული, რომელიც ზღვის დონიდან 155 მეტრით დაბლა მდებარეობს. ჩინეთში მდებარეობს ალაშანის, გობის და თაკლამაკანის უდაბნოები.



კლიმატი

ჩინეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ხასიათდება, რაც სოფლის მეურნეობის პრაქტიკულად ყველა სახის კულტურის მოყვანის საშუალებას იძლევა.

ფლორა და ფაუნა

ჩინეთის ნიადაგური საფარი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია ყველა სახის ნიადაგი, რომელიც გავრცელებულია აზიის კონტინენტზე. რელიეფის, კლიმატისა და ნიადაგების მრავალფეროვნებამ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შექმნა სხვადასხვა მცენარეულობის განვითარებისთვის: დაწყებული ტროპიკებით, დამთავრებული ტაიგის ფლორით ჩრდილოეთში. ტყეები ქვეყანაში ცოტაა. მათ მთელი ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 12 % უკავიათ. ტყეების გავრცელების ძირითადი რაიონებია დიდი და მცირე ხინგანები, ასევე ტროპიკული ზონა. ჩინეთის ტერიტორიაზე ფლორის 35 000-მდე სხვადასხვა წარმომადგენელია. აქ ვხვდებით ჩრდილოეთ ნახევარსფეროსათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სახის მცენარეს. მცენარეული საფარის მრავალფეროვნება უპირველესად განპირობებულია

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეზობლობით და მათ შორის რაიმე ბუნებრივი საზღვრების არსებობით. მრავალფეროვნებით გამოირჩევა ცხოველთა სამყარო. უიშვიათეს ცხოველთაგან აღსანიშნავია პანდა, ოქროსფერი მაიმუნი, თეთრტუჩა ირემი, მდინარის დელფინი, იანძის ნიანგი, წითელი ციყვი და მონაცრისფრო ლეოპარდი.

საელმწიფო

• სახელმწიფო სისტემა: სოციალისტური რესპუბლიკა.

ადმინისტრაციული დაყოფა

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: 23 პროვინცია (sheng - მათ შორის ტაივანი), 5 ავტონომიური რეგიონი (zizhiq), 4 მუნიციპალიტეტი (shi), 2 სპეციალური ავტონომიური რეგიონი (ჰონგ-კონგი და მაკაო). ტაივანი - გუანსი-ჯუანი - შიგა მონღოლეთი - ნინსია-ხუეი - სინძიანი - ტიბეტი - ჰონგ-კონგი - მაკაო

დემოგრაფია

ჩინეთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში. • მოსახლეობა: 1.321.451 ათასი (2007), მათ შორის - ჩინელები - 92%. ეროვნული უმცირესობებია ტიბეტელები, უილურები, ჩუანგები და მონღოლები.

• ენები: სტანდარტული ჩინური (მანდარინი), ჩინური დიალექტები: კანტონის (იუე), შანხაის (ვუ), ფუჯოუს (მინბეი) და სხვა.

• ქალაქები: პეკინი (6.619; აგლომ. 9.376); შანხაი (9.005; აგლომ. 12.040), ტიანძინი (4.333; აგლომ. 6.809), შენიანი (3.574; აგლომ. 6.473), უხანი (3.960; აგლომ. 4.496), გუანჯოუ (3.474; აგლომ.



საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მის აღმადგენლებას იუე ბინს.

ბატონო ელჩო, მაქვს პატივი გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და პირადად თქვენს მიმართ და მოგილოცოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 65 წლისთავი. მინდა ჩინელ ხალხს ვუსურვო დიდი წარმატებები და კეთილდღეობა, თქვენს უძველეს და უმშვენიერეს ქვეყანას კი აყვავება და განვითარება.

გაცნობებთ, რომ ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მოამზადეს ელექტრონული ჟურნალის- „დიპლომატის“-სპეციალური ნომერი, ვიდეო და ფოტო მასალები ჩინეთის შესახებ, რომლის პრეზენტაცია განმრავლდება ჩატარდეს 26 სექტემბერს 14 საათზე..

ბატონო ელჩო, ჩვენთვის დიდი პატივი იქნება თუ თქვენ პირადად გვეწვევით ქართულ უნივერსიტეტში და მიიღებთ მონაწილეობას ჩინეთისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა კიდევ ერთხელ გამოვხატო თქვენს მიმართ ჩემი ღმა პატივისცემა

პატივისცემით,

საქართველოს
საპატრიარქოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
რექტორი პროფესორი
სერგო ვარდოსანიძე

在格吉亚中花人民共和国的特命
王大使’下大使。

尊敬的大使先生

我深感荣幸有机会尊敬中华人民共和国大使与大使。祝你中华人民共和国65周年。我想祝中国人大成功与幸福。

大学想介’格吉亚大学的外交俱
部成 了庆祝中华人民共和国65
周年准备了特刊。中国的照片与
视。09月26日15:00点行活动。
尊敬的大使先生我 您参加我的
活动。

再一次表示很大的尊敬。

格吉亚大学的校长: Sergo Vardosanidze

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ი

ვან ი დაიბადა 1953 წლის 19
ოქტომბერს პეკინში-ეკონომიკის
მეცნიერების მაგისტრი.

1969 – 1977 – ჰაილუნცზიანის
სამრეწველო-სამშენებლო
კორპუსის თანამშრომელი.
1977 – 1978 – ფოსტისა და
ტელეგრაფის სამინისტროს
სამეცნიერო-ტექნიკური
ინფორმაციის ინსტიტუტის
თანამშრომელი.

1978 – 1982 – პეკინის
უცხო ენების მეორე
უნივერსიტეტის აზიისა და
აფრიკის ენების ფაკულტეტის
სტუდენტი, იაპონური ენის
ბაკალავრი.

1982 -1989 –საგარეო
საქმეთა სამინისტროს აზიის
ქვეყნების დეპარტამენტის
რეფერენტი, ატაშე,
განყოფილების გამგის



მოადგილე, განყოფილების
გამგე.

1989 – 1994 – იაპონიაში
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის
საელჩოს მრჩეველი, მრჩეველი-
დესპანი.

1994 – 1995 – –საგარეო
საქმეთა სამინისტროს აზიის
ქვეყნების დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე.

1995 – 1998 –საგარეო
საქმეთა სამინისტროს აზიის
ქვეყნების დეპარტამენტის
დირექტორი (კერძოდ, 1997
წლის აგვისტოდან 1998 წლის
თებერვლამდე ჯორჯთაუნის
უნივერსიტეტის(აშშ)
დიპლომატიის ინსტიტუტის
მონვეული მეცნიერი).

1998 -2001 – საგარეო საქმეთა
მინისტრის თანამშემდე და
შეთავსებით საგარეო საქმეთა
სამინისტროს პოლიტიკური
ანალიზის დეპარტამენტის
დირექტორი.

2001 – 2004 – საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილე.

2004 – 2007 – საგანგებო
და სრულუფლებიანი ელჩი
იაპონიაში.

2007 – 2008 – საგარეო საქმეთა
მინისტრის პირველი მოადგილე.


2008 – 2013 – ჩინეთის
კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტისა
და სახელმწიფო საბჭოს
კანცელარიის ხელმძღვანელი
ტაივანის საკითხებში

2013 წლიდან – საგარეო
საქმეთა მინისტრი.

17 და 18 მოწვევის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის წევრი.
ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მისი აღმატებულების იუე ბინის ბიოგრაფია



დაიბადა 1963 წლის აგვისტოში. 1986-1988 აპარატის წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომელი. 1988-1993 საბჭოთა კავშირსა და რუსეთის ფედერაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ატაშე, მესამე მდივანი. 1993-1999 ევროპისა და ცენტრალური აზიის საქმეთა დეპარტამენტის მესამე მდივანი, სამმართველოს უფროსის მოადგილე. სამმართველოს უფროსი 1999-2002 ტაჯიკეთის რესპუბლიკაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი. 2002-2004 ლიეტვის რესპუბლიკაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი. 2004-2005 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ევროპის და ცენტრალური აზიის საქმეთა დეპარტამენტის მრჩეველი. 2005-2006 საერთაშორისო ჩინური ნავთობ მომპოვებელი კორპორაციის სინოპეკ ვიცე პრეზიდენტი. 2006-2007 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ევროპის და ცენტრალური აზიის საქმეთა

დეპარტამენტის მრჩეველი. 2007-2011 რუსეთის ფედერაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, მინისტრი- მრჩეველი. 2011-2013 საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვრისპირა და ოკეანეთის საქმეთა დეპარტამენტის მრჩეველი. 2013 წლის სექტემბრიდან საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.



საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მისი აღმატებულების იუე ბინის პასუხები ჩვენი ჟურნალის კითხვებზე

1. ჩინეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების მდგომარეობა და პერსპექტივები.

ჩინეთი და საქართველო მეგობარი ქვეყნებია. ჩვენ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ჩინეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებას და მას ამიერკავკასიის რეგიონში უმნიშვნელოვანეს პარტნიორად მიიჩნევს. ჩინეთი პატივს ცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და მის მიერ არჩეულ განვითარების გზას. დიპლომატიური ურთიერთობების 22 წლის მანძილზე, ორმხრივი ურთიერთობები სტაბილურად და ჯანსაღად ვითარდება, პოლიტიკური ნდობა მუდმივად ღრმავდება, თანამშრომლობა ვაჭრობისა და ეკონომიკის

სფეროში ნაყოფიერია, კულტურული გაცვლა დღითიდღე უფრო აქტიური ხდება, საერთაშორისო საკითხებში ვინარჩუნებთ კოორდინაციას. უკანასკნელი წლის განმავლობაში, ჩინეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობები ახალი ძალით განვითარდა. აგვისტოში საქართველოს ვიცე-პრემიერის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილისა და ვიცე-სპიკერის, ბატონ ზვიად ძიძიგურის ხელმძღვანელობით ორი დელეგაცია სტუმრობდა ჩინეთს. პირველი - დავოსის ფორუმში იღებდა მონაწილეობას, რომელიც ქ. თიენძინში ჩატარდა, მეორე კი - ჩინეთ-ევრაზიის მე-4 ექსპოში. ჩინეთიდანაც ბევრმა დელეგაციამ წარმატებით განახორციელა ვიზიტი საქართველოში. ორმხრივი კონტაქტების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ჩინელ და ქართველ

ხალხს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გაღრმავებას და ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას. ჩინეთ-საქართველოს შორის საქმიანი თანამშრომლობა წარმატებულია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა 9.6%-ით გაიზარდა და 452 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთმა ჯამში 400 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები განახორციელა საქართველოში. იგი უკვე გახდა საქართველოს რიგით მესამე სავაჭრო პარტნიორი და ინვესტორი ქვეყანა. წლების მანძილზე, ჩინეთმა საქართველოს 50 მილიონი დოლარის უსასყიდლო დახმარება გაუწია, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. გარდა ამისა, დიდი ჩინური კომპანიები აქტიურად



მონაწილეობენ საქართველოს ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. მაგალითად, მათ ააშენეს რიკოთის საავტომობილო გვირაბი და თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზა. გარდა ამისა, ჩინური კომპანია 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ახორციელებს საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან - ოლიმპიური სოფლის მშენებლობის პროექტს. აგვისტოს თვეში, პრემიერ-მინისტრ ლარიბაშვილმა თავად მოინახულა ოლიმპიური სოფელი და დადებითად შეაფასა ჩინური კომპანიის მუშაობის ეფექტურობა. თანამშრომლობა განათლებისა და კულტურის სფეროში უფრო და უფრო აქტიურად მიმდინარეობს. ჩინური მხარის

მხარდაჭერის შედეგად, ამჟამად, თბილისის ოცამდე სკოლასა და უნივერსიტეტში ხუთასამდე სტუდენტი სწავლობს ჩინურ ენას. თანაც, სხვა სასწავლებლებსაც სურთ ჩინური ენის კურსების გახსნა. გარდა ამისა, საქართველოში ჩინეთის საელჩო თანამშრომლობს მედია-პროექტ „ეტალონთან“ „ჩინეთ-საქართველოს მეგობრობის წელთან“ დაკავშირებულ პროექტზე. ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ჩინური ენისა და ჩინეთის „ბუმი“ საქართველოშიც დაიწყო. ჩინელი ხალხიც უფრო მეტ ინტერესს იჩენს საქართველოს გასაცნობად. ჩინეთის მთავრობის მიერ საქართველოსთვის ოფიციალური ტურისტული დანიშნულების ქვეყნის სტატუსის მინიჭებამ და ურუმჩი-თბილისის შორის პირდაპირი ფრენების დაწყებამ, დიდად შეუწყო ხელი ორ ქვეყანას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას. აგვისტოს თვეში მთავარი ჩინური მედია საშუალებების 50 ჟურნალისტი იმყოფებოდა საქართველოში. მათ ყველა კუთხით გააცნეს ჩინელ მაყურებელს საქართველოს ისტორია, კულტურა, ადამიანები, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. გარდა ამისა, ქალაქებმა გუანჭოუ და თბილისმა ისევე, როგორც ურუმჩი და ბათუმი ხელი მოაწერეს წინასწარ ხელშეკრულებას დაძმობილების შესახებ. გასულ წელს, ჩინურმა მხარემ წამოაყენა სტრატეგიული კონცეფცია „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ შესახებ, რომელიც გულისხმობს აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს შორის პოლიტიკური კომუნიკაციის, საგზაო კავშირების, ვაჭრობის, ვალუტის მიმოცვლისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას, რათა ერთად

მოხდეს ჩვენი განვითარება და კეთილდღეობის მიღწევა. საქართველო უძველესი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, შესაბამისად, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ ფარგლებშიც აქტიურ როლს შეასრულებს. მჯერა, რომ თუ ჩვენი ქვეყნები გააგრძელებენ ორმხრივი ურთიერთობების სტაბილურ განვითარებას, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ სტრატეგიული იდეის განხორციელების კვალდაკვალ, ჩინეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები უფრო სწრაფად განვითარდება და თანამშრომლობა ვაჭრობის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, ტურიზმისა და სხვა სფეროებში ახალ საფეხურზე გადავა.

2. თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოს შესახებ.

1992 წლის 9 ივნისს, როდესაც ხელი მოეწერა ერთობლივ კომუნიკეს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, პატივი მქონდა ჩინეთის დელეგაციის წევრის რანგში თავად დავსწრებოდი ამ ისტორიულ მოვლენას. მაშინ მე მხოლოდ ერთ დღეზე ცოტა მეტი დავყავი თბილისში, თუმცა ქართველი ხალხის მეგობრულმა დამოკიდებულებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. მე ჩინეთის ელჩის რანგში დავბრუნდი საქართველოში. ამჯერად, ვეწვიე თქვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს, კარგად გავიცანი საქართველოს ისტორიას, კულტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მე ნავიკითხე რუსთაველის პოემა, დავათვალიერე ფიროსმანის ნამუშევრები, მოვისმინე მრავალხმიანი

სიმღერა, ვიხილე როგორ ცეკვავენ ქართველი ბიჭები თითის წვერებზე, დავაგემოვნე შესანიშნავი ქართული ღვინო. საქართველოს ულამაზესმა ბუნებამ, მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, მდიდარმა კულტურულმა მემკვიდრეობამ, ქართველი ხალხის შეუპოვარმა და სტუმართმოყვარე ხასიათმა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე მთელი გულით მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი.



3. თქვენი სურვილები საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.


ჩინეთი და საქართველო ტრადიციულად მეგობარი ქვეყნები არიან. მე ძალიან მიხარია საქართველოს ეკონომიკური წინსვლა და ქართველი ხალხის კეთილდღეობა. იმედი მაქვს, რომ საქართველო შეძლებს შეასრულოს „ევრაზიის დამაკავშირებელი გზაჯვარედინის“ როლი, მომავალშიც შეინარჩუნებს პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლას და რომ საქართველო აყვავდება. ამავდროულად, ვისურვებდი ჩინეთ-საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარებასა და ორმხრივ ურთიერთობებში ნათელ მომავალს.




კონფუცის ინსტიტუტი

ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ჩინეთის მთავრობის მხარდაჭერით მთელ მსოფლიოში იქმნება კონფუცის ინსტიტუტები. დღეისათვის მათმა რაოდენობამ სამას ორმოცდაათს გადააჭარბა. კონფუცის პირველი ინსტიტუტი გაიხსნა 1994 წელს ქალაქ სეულში (სამხრეთ კორეა). კონფუცის ინსტიტუტები არის აშშ -ში, კანადაში, მექსიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ინდოეთში, თურქეთში, არგენტინაში, ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ კონფუცის ინსტიტუტი საქართველოშიდაც ფუნქციონირებს თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზაზე. სულ მალე კონფუცის ინსტიტუტი გაიხსნება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის წლევანდელმა პირველკურსელებმა უკვე დაიწყეს ჩინური ენის შესწავლა. უნდა აღინიშნოს, რომ კონფუცის ინსტიტუტი მოწოდებულია გააღრმავოს ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან, გააცნონ მათ ჩინეთის ისტორია, კულტურა, ფილოსოფია, ლიტერატურა,

წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. საინტერესოა, რომ ჩინური ენის გაკვეთილების გარდა კონფუცის ინსტიტუტებში იკითხება ლექციები, უჩვენებენ კინოფილმებს, მართავენ გამოფენებს, კონკურსებს და შეხვედრებს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მეცნიერებთან, პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან. ჩინური ენის კურსებზე სწავლება ხორციელდება უახლესი სახელმძღვანელოების საშუალებით. ძირითად სასწავლო მასალასთან ერთად გათვალისწინებულია აუდიო ან ვიდეო მასალის გამოყენება. მეცადინეობებს ატარებენ როგორც ქართველი კვალიფიციური ლექტორები, ასევე ჩინეთიდან მოწვეული პედაგოგები. კონფუცის ინსტიტუტებში ჩინური ენის შემსწავლელთათვის, რომლებიც აჩვენებენ მაღალ შედეგებს სწავლაში და წარმატებით ჩააბარებენ შესაბამის (HSK) გამოცდას შანსი ეძლევათ გაიარონ უფასო სტაჟირება ჩინეთში ერთი წლის ვადით.



საქართველო - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დიპლომატიური ურთიერთობები



თანამშრომლობის
ძირითადი სფეროები

საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 9 ივნისს.

ნიშანდობლივია, რომ ორმხრივი ურთიერთობები მრავალი მიმართულებით დინამიურად ვითარდება.

საქართველო მალალ შეფასებას აძლევს ჩინეთის როლს და ადგილს გლობალურ პოლიტიკაში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი წარმატებულად განაგრძოს ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას თავისი ხალხისთვის და პოზიტიური წვლილის შეტანას, როგორც მის უშუალო სამეზობლოში, ისე გლობალური მასშტაბით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, დაამყარა ჩვენს ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები და გახსნა საელჩო თბილისში 1993 წელს (ინფორმაციისთვის: საქართველოს საელჩო ქ. პეკინში გაიხსნა 2005 წელს), რამაც მისცა ძლიერი სტიმული ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიული და კულტურული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას. საქართველოსა და ჩინეთის საგარეო უწყებებს შორის არსებობს რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმი, რაც წარმოადგენს სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის მიმდინარე საკითხთა განხილვის მნიშვნელოვან ფორმატს.

ბოლო წლების განმავლობაში




განხორციელდა ჩინური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს ეკონომიკაში; 25-მდე ჩინური კომპანია უკვე წარმატებულად საქმიანობს საქართველოში, ისეთ სექტორებში როგორცაა: მშენებლობა, გზები და ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, საბანკო სფერო და სხვა.

ასევე, იზრდება ორმხრივი ვაჭრობა და საქართველოში ჩინელ ვიზიტორთა რიცხვი;

2013 წელს მხარეებს შორის ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 564 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2014 წლის იანვარ-ივლისის მონაცემების თანახმად, ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენს 420 მილიონ აშშ დოლარს.

ვითარდება ურთიერთობები კულტურისა და განათლების სფეროებში.

ამასთან, ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფორმატია მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისია, სადაც განიხილება სავაჭრო-



ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი არის საქართველოს ხუთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის.

ნიშანდობლივია, რომ 2011 წლის 9 ივნისიდან დაინიშნა პირდაპირი ავიაჩრები თბილისი-ურუმჩის (სინძიან უიგურეთის ავტონომიური რეგიონი) მიმართულებით, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველო-ჩინეთის შორის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში, ისე ხალხთაშორის კავშირების განმტკიცებაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2012 წლის თებერვლიდან



ჩინეთის მთავრობამ საქართველოს მიანიჭა „ტურიზმისთვის ხელსაყრელი ქვეყნის სტატუსი“ (Approved Destination Status), რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ჩინელი ტურისტების რაოდენობის ზრდას.

ჩინეთის კლუბი ქართულ უნივერსიტეტში

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის წევრანდელმა პირველკურსელებმა უკვე დაიწყეს ჩინური ენის



შესწავლა ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით დაფუძნდა ჩინეთის კლუბი. კლუბის მუშაობას უხელმძღვანელებს ჩინეთის კლუბის პრეზიდენტი, უნივერსიტეტის პროფესორი არჩილ კალანდია. თანაპრეზიდენტი იქნება საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი საბა ხაზაღია.

რატომ უნდა ვინავლოთ ჩინური ენა?

უცხო ენის შესწავლა ყოველთვის სასარგებლოა. ენა კომუნიკაციის საშუალებაა როგორც კერძო, ასევე კულტურის, ლიტერატურის და მეცნიერების სფეროებში. გარდა ამისა, უცხო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული კარიერისათვის დღევანდელ მსოფლიოში. რატომ ვსწავლობთ მანცდამაინც ჩინურ ენას? დღეისათვის დედამიწაზე ყოველი მე-5 ადამიანი საუბრობს ჩინურ ენაზე. მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ეს მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია ჩინეთის ეკონომიკის სწრაფ ზრდასთან და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან. ჩინეთი, როგორც მსოფლიოში მეორე ქვეყანა ეკონომიკური განვითარების სფეროში, მიმდევარია ინვესტირებისათვის და საერთაშორისო დონეზე

დიდი პოპულარობით სარგებლობს. დღეისათვის ინტერნეტში საიტების ნახევარზე მეტი ჩინურ ენაზეა. ხოლო იმის გათვალისწინებით თუ რა სისწრაფით ვითარდება ინტერნეტი ჩინეთში ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. ამიტომ, თუ თქვენ დაეუფლებით ჩინურ ენას, თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება დიდი რაოდენობით სასარგებლო ინფორმაცია. ჩინური ენა იყენებს განსკუთრებულ იეროგლიფურ დამწერლობას. იგი არის ერთ-ერთი უძველესი დამწერლობათა სისტემა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. იეროგლიფთა უმრავლესობა უცვლელია უკვე 2000 წ. ჩინურის ცოდნა გაძლევთ ახალ შესაძლებლობებს მოგზაურობისათვის. თქვენ შეგეძლებათ გაეცნოთ სრულიად სხვა კულტურასა და ცხოვრების წესს. ჩინეთი ეს სხვა ისტორია და სხვა კულტურაა. ეს მისი ტრადიციები, მითოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნებაა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებით მთელ მსოფლიოსთან კავშირი გახდა რეალობა. თქვენ შეგეძლებათ იპოვოთ ბევრი მეგობარი და პარტნიორი ბიზნესში. ახლა ჩინური ენის მცოდნე სპეციალისტებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება, მაგრამ გავრცელებული მითების გამო, რომ ჩინური ენის შესწავლა მეტად რთულია ასეთი სპეციალისტების რაოდენობა დღემდე მცირეა. ჩინური ენის ცოდნა თქვენ გაძლევთ დამატებით შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს თქვენი მომავალი სამუშაოსათვის, იმის მიუხედავად თუ რა სპეციალობაა აირჩევთ. გისურვებთ წარმატებებს ჩინური ენის სწავლაში!

ჩინური დამწერლობა

ჩინური დამწერლობა ლოგოგრამული დამწერლობა, რომელიც გამოიყენება ჩინურ და იაპონურ ენებში, ხანდახან კორეულშიც და ადრე ვიეტნამურ ენაშიც. ჩინური დამწერლობა წარმოიქმნა 3200 წლის წინ და სავარაუდოდ დღეს არსებული დამწერლობებიდან უძველესია. მიუხედავად ამისა, ამ 3200 წლის მანძილზე ჩინურმა დამწერლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და მისი უძველესი ნიმუშების წაკითხვა მხოლოდ ლინგვისტი არქეოლოგებისთვისაა შესაძლებელი.



ჩინეთში აღმოჩენილი დამწერლობის უძველესი ნიმუშები კუს ჯავშანზე დაახლოებით ძვ. წ. VIII ათასწლეულს, ეს ნაწერები არის დამწერლობის უძველესი ნიმუშები, თუმცა მათი გაშიფვრა ჯერ ვერ მოხერხდა და უცნობია მათი კავშირი ჩინურ დამწერლობასთან. ჩინურ დამწერლობაში სიმბოლოთა რაოდენობა რამდენიმე ათეული ათასია და თითოეულ სიმბოლოს აქვს არა მხოლოდ ფონეტიკური არამედ აზრობრივი მნიშვნელობაც. ჩინურ სიმბოლოთა 4% არის პიქტოგრამებიდან წარმოებული, თუმცა უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე იეროგლიფებსა

და პიქტოგრამებს შორის კავშირის შემჩნევა არც ისე ადვილია. დანარჩენები ლოგიკურად არის შედგენილი რამდენიმე მარტივი იეროგლიფისგან. დიდ ლექსიკონებში 46 ათასზე მეტი იეროგლიფია შესული, თუმცა მათი უმეტესობა საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. საშუალოდ ჩინელმა ან ჩინურის მცოდნემ 3000-4000 იეროგლიფი იცის. ტრადიციულად თითო იეროგლიფი აღნიშნავს თითო მარცვალს, ხოლო ბევრი ჩინური სიტყვა შედგება ერთზე მეტი მარცვლისგან, რომელთა დასაწერად გამოიყენება ერთზე მეტი იეროგლიფი. ჩინური ენის სხვადასხვა დიალექტებში იეროგლიფის წარმოთქმა განსხვავდება, მაგრამ მნიშვნელობა და დაწერის სახე ერთიანია ყველასათვის. ამის გარდა ბევრი სიმბოლო გადასულია იაპონურ და კორეულ ენებში, სადაც უკვე სულ სხვა მნიშვნელობა და გამოთმა აქვს შეძენილი. კონტინენტურ ჩინეთში გამოიყენება 1956 წლიდან გამარტივებული დამწერლობა, ხოლო ტაივანზე და ჰონგკონგში ტრადიციული ჩინური დამწერლობა. გამარტივებული ჩინური ასევე გადაიღეს სინგაპურშიც.

ჩინური ცერემონიალი

„ადამიანი არ უნდა ჯავრობდეს, თუ მას არ გააჩნია მაღალი პოსტი(რანგი), ის უნდა ჯავრობდეს იმაზე რომ არ გაძლიერდა მორალში“. კონფუცი (551-4796.)

ჩინეთი- მსოფლიოში ალბათ არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ათასწლეულების მანძილზე ისტორიაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს ეტიკეტი. ძველ ჩინეთში ქცევის ნორმები, უამრავი აკრძალვები, აუცილებელი მაგიური

ქმედებები, სასულიერო რიტუალები და ცერემონიალები ნელ-ნელა გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბდა, რომელშიც ცნება „ეთიკა“ „რიტუალი“ და „ეტიკეტი“ დიდად არ განირჩევა.

ეტიკეტის საზოგადოება

დამფუძნებლად სწავლებისა „ლი“ (რიტუალი, ეტიკეტი) ითვლება კონფუცი, თუმცა თვითონ ფილოსოფოსს არ შეუქმნია ახალი რიტუალები, მან აიღო ნიმუშად ძველი ტრადიციები, კონფუციანისტო ძალიან გარკვევით მიუთითებს ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. კონფუცი ამბობდა: „მმართველი უნდა იყოს მმართველად, ქვეშემდომი - ქვეშემდომად, მამა-მამად, შვილი-შვილად სამ ტრაქტატში.“ სისტემატიზირებულია ქცევის წესები, ქცევის ჩვეულება და სხვა დანარჩენი წვრილმანი ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ ყველა მათგანი არ იყო მიღებული, როგორც ადამიანის მიერ დადგენილი, არამედ ეს იყო ზეციური რიგიდობა, აი ამიტომაც ეძლეოდა ეტიკეტს ასეთი მნიშვნელობა. ჩინელები ძალიან თავშეკავებული არიან გრძნობების გამოხატვის მხრივ - ეს არის რეზულტატი კონფუციანური სისტემის ღირებულებების მოქმედების, ყველაფერი რაც დაკავშირებულია ემოციებთან, განცდებთან, ინტერესებისაკენ გადახრასთან გადაიწეოდა უკანა ფლანგზე ვალდებულების კატეგორიასთან მიმართებაში. „კეთილშობილ ქმრად“ ითვლებოდა მხოლოდ ის ვინც შეითვისებდა ადამიანის სიყვარულს და ვალდებულებების შეგრძნებას. ვალდებულება საზოგადოების წინაშე მოითხოვდა დამორჩილებოდა მიღებულ ნორმებს, ვალი ოჯახის მიმართ მოითხოვდა დაევიწყებინა თავისი მოთხოვნილებები და გატაცებები. ამიტომ

ნებისმიერ სიტუაციაში ჩინელები უნდა მიყოლოდნენ ქვეყნის სტერეოტიპებს და ეკონტროლებიან თავიანთი გრძნობები. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი სოციალური წესრიგისა იყო უფროსებისადმი მორჩილება. ნებისმიერი უფროსი -მამა, ძმა, ჩინოვნიკი, ბატონი არის ხელშეუხებელი ავტორიტეტი უმცროსისთვის, ქვეშემდომისთვის. ტყუილუბრალოდ არ გვახსენებდა კონფუცი, რომ სახელმწიფო არის დიდი ოჯახი და ოჯახი- პატარა სახელმწიფო. თანამედროვე ჩინური ტრადიცია საგრძნობლად განსხვავდება იმ რთული სისტემისგან, რომელიც არსებობდა ტრადიციულ საზოგადოებაში, კონფუციანური მორალი და რიტუალი გადავიდა წარსულში. ქალებმა მიიღეს თანასწორი უფლებები მამაკაცებთან ერთად, ამასთან, შენარჩუნდა ხაზგასმული დამოკიდებულება უფროსებისადმი, ცოდნა და სიყვარული ნაციონალური კულტურისადმი, ისტორიისადმი და ლიტერატურისადმი.



სახელები

ჩინეთში სხვა ევროპულ ქვეყნებთან განსხვავებით ადამიანის სახელში პირველ ადგილზეა გვარი, ხშირად ერთსიტყვითი (ვან ლი) და იშვიათად ორსიტყვითი (სიმა) მეორე ადგილზეა სახელი. დღესდღეობით თანამედროვე ჩინელები განსაკუთრებით

ჰონკონგში, ტაივანში იმატებენ ევროპულ სახელებს, ეს ხდება შერეული ქორწინებისას და ახალი რელიგიის მიღებისას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩინელი ქალები გათხოვებისას იტოვებენ საკუთარ გვარებს.

მიმართვის ფორმები

სახალხო მმართველობის დადგომის შემდეგ ჩინეთში გავრცელდა მიმართვის ფორმა „მეგობარო“. ასე მიმართავენ ერთმანეთს პარტიის წევრები, ხოლო საზოგადოებაში კვლავ გავრცელდა მიმართვის ფორმა „ბატონო“ ეს ოფიციალური მიმართვის ფორმა მიღებულია სახელმწიფოს პირველ პირებთანაც, ასევე საზოგადოებაში ფართოდ გამოიყენება ოფიციალური ზრდილობიანი მიმართვის ფორმა, რომელიც შედგება გვარისა და თანამდებობის დასახელებისგან.

მისალმება

საკვების მიღება ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ელემენტი ჩინურ კულტურაში ამიტომ ჩინური მისალმება სიტყვა სიტყვით ითარგმნება ასე: „თქვენ უკვე მიირთვით ბრინჯი? პასუხია“ კი გმადლობთ! და თქვენ? „საინტერესოა რომ არსით ეს არის ინგლისური მისალმების ექვივალენტი.: „how are you? fine thanks“. ტრადიციული თავის დახრა ჩინეთში გვხვდება არც ისე ხშირად, ხანდახან ასე თავს უხრიან ასაკოვან ხალხს, ისიც ყველგან არა. უმეტესობა ჩინელებისა ხელს ართმევენ ერთმანეთს ევროპულად, მაგრამ უფრო თავშეკავებულად, ასევე, ჩვეულებრივი მისალმების ფორმაა მსუბუქი თავის დახრა. გადახვევნა და კოცნა შორეული ნაცნობებისათვის სრულიად დაუშვებელია.

საჩუქრები

საჩუქრები ჩინურ კულტურაში გავრცელებულია ფართოდ. უყვართ ჩუქებას და საჩუქრის მიღებას, გასათვალისწინებელია, რომ საჩუქარი უცხოელისგან აუცილებლად დამზადებული უნდა იყოს მჩუქებლის მშობლიურ ქვეყანაში. საქმიანი საჩუქრები უნდა იყოს არაძვირიანი, 10-15 \$. თუ თქვენ ასაჩუქრებთ ერთდროულად რამდენიმე ადამიანს შეეცადეთ, რომ ისინი იყოს თანაბარი ღირებულების. კიდევ მნიშვნელოვანი მომენტი აუცილებლად იქონიეთ ზედმეტი ორი ან სამი საჩუქარი, რომ მზად იყოთ ნებისმიერი მოულოდნელობისთვის. ევროპული ეტიკეტისგან განსხვავებით თუ საჩუქარი შეფუთულია მისი გახსნა მჩუქებლის წინაშე უზრდელობაა და კიდევ საჩუქარი უნდა გადასცეთ და მიიღოთ ორივე ხელით. ჩინეთში ბედნიერების მომტანი ფერებია- წითელი და ოქროსფერი, თეთრი და შავი ფერი სიმბოლიზირებულია. ასევე, ჩინელებს უყვართ რამდენიმე საჩუქრის ერთად გაცემა, ჩინელებისთვის საათის ჩუქება არ შეიძლება, რადგან სიტყვა საათი ჩინურად ჯღერს ასე „დაკრძალვაზე წასვლა“ ყვავილების ჩუქება მიღებულია საავადმყოფოში. მართალია ყველა ტრადიცია იცვლება დროსთან ერთად მაგრამ დღემდეა შემონახული ყვავილების გარკვეული რაოდენობის ჩუქება.



ჩინეთის დიპლომატიის ისტორიიდან

ჩინეთის დიპლომატია ყოველთვის ატარებდა ძალიან სპეციფიკურ და თავისებურ ხასიათს. იგი ისტორიულად სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა იმ გარემოებების და ამოცანების შესაბამისად, რომელიც იდგა ქვეყნის წინაშე ამა თუ იმ ეტაპზე.

ჩინელი დიპლომატები ძალზედ წარმატებით იყენებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების დიდ ინტერესს ჩინეთისადმი, როგორც "გასაღების ბაზრის" უდიდეს საშუალებას. დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, ისინი განიხილავდნენ, როგორც მათ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების, ასევე ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების გაფართოების საუკეთესო საშუალებას.

როდესაც ჩინეთს არ გააჩნდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან, ისინი ოსტატურად იყენებდნენ სპორტული კავშირების დიპლომატიას (60-იანი წლების პინგ-პონგის დიპლომატიას), იმისათვის, რომ ეჩვენებინათ რომ კავშირები მაინც არსებობს, მათი გაფართოება კი შესაძლებელია. ასევე, წარმატებით იყენებდნენ სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობებს.

უკანასკნელ ათწლეულში ჩინეთის დიპლომატია აქტიურად იყენებს, როგორც გაეროს ტრიბუნას, ასევე უშიშროების საბჭოს სხდომებს (რომლის მუდმივი წევრიც თვითონ არის), ამასთან ერთად, ჩინეთის დიპლომატიისათვის დამახასიათებელია პოზიციის დამოუკიდებლობა, როგორც წესი ისინი არ ეყრდნობიან სხვა ქვეყნების პოზიციებს და ატარებენ თავის საკუთარ, დამოუკიდებელ ხაზს. ჩინეთი

არ ერიდება პრინციპულ საკითხებზე ვეტოს უფლების გამოყენებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს, მხარს უჭერენ სხვა რეზოლუციას.

ჩინური დელეგაციები, როგორც წესი, არგუმენტირებულად იცავენ თავიანთ პოზიციებს.

ჩინურ დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წინასწარ გათვლებს სამხედრო და პოლიტიკური აქციების განხორციელებისათვის.

არსებითი წვლილი ჩინური დიპლომატიის საფუძვლების შექმნაში შეიტანა უძველესი ჩინეთის სამხედრო მოაზროვნემ სენ ცზიმ.

სტრატეგიები- სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის მიმართ რაიმე ემპაკობას და ხაფანგის დაგებას, ძირითადი იარაღი იყო ჩინეთის დიპლომატიის მთელი ისტორიის მანძილზე. ჩინელების სტრატეგიულ გეგმები, ხანგრძლივ დროზე იყო გათვლილი და პასუხობდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

თანამედროვე ჩინური დიპლომატია ჩამოყალიბდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე (1949) ბევრად უფრო ადრე.

საგარეო პოლიტიკური კურსის საფუძვლები შემუშავებული იქნა მაო ძედუნისა და ჯოუ ენლაის მიერ. მაო ძედუნი ტრადიციული დიპლომატიის მომხრე და მიმდევარი იყო, ამავე დროს, ჩინეთის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას რეალისტურ ხასიათს ანიჭებდა.

დიპლომატიური სამსახურის ქვეშარიტი დამაარსებელი იყო ჯოუ ენლაი. იგი პრემიერობის დროს, შეთავსებით ახალი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო. ჯოუ ენლაი სისტემატიურად მოგზაურობდა და „... ღია დიპლომატიის“ მომხრე იყო. მთავარი პრინციპი იყო მიეღწიათ საერთო შეთანხმებისათვის მიუხედავად განსხვავებული

აზრებისა.

ჩინეთის დიპლომატიამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ჩამორჩენილი ქვეყნიდან ჩინეთი ბირთულ სახელმწიფოდ გადაიქცა მილიარდ ნახევარი მოსახლეობით, სწრაფად განვითარებადი ეკონომიკით. საბჭოთა ელჩი პეკინში, ცნობილი დიპლომატი ო. ტროიანოვსკი ასე ახასიათებდა ჩინეთის ხელმძღვანელობას: "ჩემი პირადი გამოცდილების საფუძველზე ვთვლი რომ, ჩინეთის უმაღლესი დონის ხელმძღვანელები პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ძალზედ მაღალ დონეზე არიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის." ასეთივე მაღალი აზრი ჰქონდა ჩინელების შესახებ ცნობილ ამერიკელ დიპლომატს ჯონ კენანს, რომელიც მემუარებში წერდა, რომ ინდივიდუალურობით „ჩინელები მსოფლიოს ხალხებს შორის ყველაზე ჭკვიანები არიან“.



თანამედროვე ჩინეთის დიპლომატია

ჩინეთის დიპლომატია სამართლიანად ამყარებს თავისი მდიდარი ისტორიული ტრადიციებით, რომლებიც არა ერთ ათასწლეულს ითვლის. დიპლომატიური ხელოვნება ჩინეთში ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ევროპის ქვეყნებში (აქ არ იგულისხმება ძველი რომის, საბერძნეთის და სხვა ქვეყნების დიპლომატია). ჩინეთის ისტორიულ პერსონაჟებს შორის დიპლომატებს ტრადიციულად არა ნაკლები საპატიო ადგილი ეკავათ, ვიდრე მხედართმთავრებს, ან ჩინეთის უძველესი კულტურის მოღვაწეებს და მოაზროვნეებს. პოლიტიკური ამროვნების ისტორიაში დიპლომატია განიხილებოდა, როგორც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ნაწილი. როგორც სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი. ჩინეთის დიპლომატიის ერთ-ერთი მოსაზრება "უძველესი ტრადიციების გამოყენება თანამედროვეობისათვის" შემთხვევით არ გაჩენილა. თუ "ნაციონალიზმი", ევროპაში, გამომდინარეობს სახელმწიფოების საკუთარი ნაციონალური კულტურის უნიკალურობისა და ფასეულობებისაგან, ჩინეთის "ნაციონალიზმი" დაფუძნებულია კულტურულ უპირატესობასა და ჩინეთის ტრადიციული ფასეულობების უნივერსალურ გამოყენებაზე. ჩინეთის ერის, კულტურის, ცივილიზაციის უპირატესობის იდეა, სხვა ერებსა და კულტურებთან მიმართებაში შეადგენდა ჩინეთის იმპერიების საგარეო პოლიტიკის ჩინურ ცენტრისტული დოგმების საფუძველს. ტრადიციული ჩინური დიპლომატიის იდეურ-თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების პერიოდი

განეკუთვნება უძველეს ჩვ.წ მე-8, მე-3 საუკუნეებს.

2500 წლის წინათ ერთიანი იმპერიის შექმნის შედეგად ჩინური ცენტრიზმი იქცა საგარეო პოლიტიკური დოქტრინების იდეოლოგიურ ფუნდამენტად.

სწორედ, ჩვ.წ მე-5, მე-3 საუკუნეებში იქმნება და მუშავდება საგარეო პოლიტიკური დოქტრინები, სახელმწიფოებს შორის კონტრაქტების მეთოდები. ჩინეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მისი დახვეწილი და ქკვიანური დიპლომატიის დამსახურებით მეტად დინამიური და

მოლაპარაკებების წარმართვის ჩინური სტილი



მოლაპარაკებების წარმართვის ჩინურ სტილში თავმოყრილია ბუნებრიობის, აუქარებლობის, საჭირო პირობების მომნიშვნის უსაზღვრო მოთმინებით ლოდინის მზადყოფნის იდეალები. ამ სტილს განსაზღვრავს რიტუალი და იერარქია მოლაპარაკების პროცესის ყველა დონეზე, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩინელების ნიჭთან მსხვერპლად შესწირონ მოლაპარაკებებზე წუთიერი გამორჩენა უფრო მნიშვნელოვანი ხანგრძლივი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ.

ბევრი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს ჩინური ეროვნული სტილის სტრატაგეზრობას საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, რაც მიმართულია ხანგრძლივი

მიზნების უზრუნველყოფაზე და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანების გადანყვებაზე. ცნობილი რუსი სინოლოგი ა.ა. სვეშნიკოვი აღნიშნავს: „ჩინური სტრატაგეზური ამროვნების საქადრაკო სტილი, რომელიც გათვლას აკეთებს მრავალი ათწლეულით და ასწლეულით ადრეც კი... კონტრასტშია დასავლეთის საგარეო პოლიტიკური მიდგომების პრაქტიკულ კონიუნქტურასთან“. მართლაც, ჩინური სტრატაგეზური დიპლომატიის ძლიერი მხარეებია მისი მიზანდასახულობა, აქტიურობა, გეგმიურობა, მოქმედებების სისწორე. ჩინური მხარე მოლაპარაკებებზე თავიდანვე მიისწრაფვის დაჰყოს მოლაპარაკების პროცესის ცალკეული ეტაპები: პოზიციების თავდაპირველი დაზუსტება, მათი განხილვა, შეთანხმების მიღება, დოკუმენტების ხელმოწერის დასკვნითი ეტაპი. საწყის ეტაპზე ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ მოლაპარაკებებში თავისი პარტნიორების გარეგნულ სახეს, ქცევის მანერას, რის საფუძველზეც ცდილობენ განსაზღვრონ მათი ფორმალური და არაფორმალური სტატუსი, დელეგაციის ყველა წევრის გავლენას, და შემდგომში აკეთებენ მკაფიო ორიენტაციას უფრო მაღალი, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური, სტატუსის მქონე მონაწილეებზე. მოლაპარაკების პროცესში ჩინელების საერთო სტრატეგია კი დაფუძნებულია პარადოქსულ პოსტულატზე „მართვა მოქმედების გარეშე“, რომელსაც ჩინელები მიაწერენ თვით კონფუცის, რომელმაც თქვა: „მმართველი შუი მართავდა მოქმედების გარეშე. როგორ აკეთებდა ის ამას? ის არაფერს არ აკეთებდა, გარდა იმისა, რომ იჭდა პირით სამხრეთისაკენ“. მოლაპარაკებებზე ასეთი პოზიცია გამოიხატება იმაში, რომ ჩინური მხარე ჩვეულებრივ ელოდება, რომ პარტნიორებმა

პირველებმა „გახსნან კარტები“, პირველებმა გამოთქვან თავისი აზრი, პირველებმა წამოყენონ წინადადებები და ა.შ. ესე იგი, ჩინური პოსტულატი „მართვა მოქმედების გარეშე“ აღნიშნავს სწრაფვას მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგს მინიმალური დანახარჯებით. როგორც წესი, ჩინელები მიდიან დათმობაზე მოლაპარაკების დასასრულს, მას შემდეგ, რაც შეაფასებენ პარტნიორის შესაძლებლობებსა და ნაკლს. არაიშვიათად მათი დათმობის წინადადებები ჩნდება, როცა უკვე გეგმვენ, რომ მოლაპარაკებები საბოლოოდ შევიდა ჩიხში და შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. ამასთან, ასაბუთებენ რა თავის პოზიციას, ჩინელები მარჯვედ იყენებენ მოლაპარაკების დროს პარტნიორების მიერ დაშვებულ ყველა შეცდომას. ცნობილმა ჩინელმა ფილოსოფოსმა, ფენ იულანმა, ზუსტად დაახასიათა ჩინური მოქნილი პოლიტიკა პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე: „მარჯვენა ფრთის წარმომადგენლები მხარს უჭერენ ჩემს მისწრაფებას შევინარჩუნოთ ძველი სამეფოს ერთიანობა და ინდივიდუალურობა, და აკრიტიკებენ ჩემს ძალისხმევას, რომელიც ხელს უწყობს მოდერნიზაციის განხორციელებას; მარცხენა ფრთის წარმომადგენლები მიესალმებიან ჩემს სწრაფვას დავებმარო მოდერნიზაციას და მაკრიტიკებენ მე ჩემი ძალისხმევისთვის, რომ შევინარჩუნოთ ძველი სამეფოს ინდივიდუალობა და ერთიანობა. მე ვიგებ მათ დასკვნებს, ვიღებ მათ ქებასა და კიცხვას. ქება და კიცხვა ერთმანეთს აბათილებენ, მე ვაგრძელებ წინსვლას ჩემი მსჯელობების შესაბამისად“. ჩინელები არასდროს არ იღებენ გადანაცვტილებებს მოსალოდნელი შეთანხმებების, შედეგებისა და ყველა ასპექტის

დეტალურად შესწავლის გარეშე. მათი დელეგაცია ჩვეულებრივ ძალიან მრავალრიცხოვანია, რამდენადაც თავის შემადგენლობაში ყავთ დიდი რაოდენობა მოლაპარაკებების დღის წესრიგის ყველა საკითხის ექსპერტებისა. უფრო მნიშვნელოვანი გადანაცვტილებები მიიღება კოლეგიალურად, ყველა დონეზე მრავალრიცხოვანი შეთანხმებებით. ამავე დროს, აუცილებლად დაცულია უფროს-უმცროსობის კულტი და იერარქია. ცენტრის მხრიდან მიღწეული შეთანხმებების დამტკიცება აუცილებელია, რაც ითვალისწინებს მოლაპარაკებებში მონაწილე ჩინელებს შორის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ყოფნას, რომლებსაც შეუძლიათ ადგილზე გადანაცვტიონ რთული საკითხები, ასევე კარგი თარგმანის ყოფნა, რომელმაც იცის სპეციფიკური ჩინური ტერმინოლოგია. ჩინელებთან მოლაპარაკება საკმაოდ დიდხანს გრძელდება(რამდენიმე დღიდან - რამდენიმე თვემდე.) რადგან ისინი საქმის ყველა ასპექტის დეტალურად შესწავლის გარეშე გადანაცვტილებას არ იღებენ. ცნობილი ინგლისელი ჩინეთმცოდნე ჯ. მაკგოვენი აღნიშნავდა, რომ ჩინეთში არ არის არცერთი ადამიანი, რომელიც არ გრძნობდეს ასე თუ ისე პასუხისმგებლობას სხვის გამო. ამ მიმართებით ჩინელი ხალხი შეიძლება შევადაროთ ძალიან რთულ საათის მექანიზმს, სადაც ცალკეული ნაწილების კბილანები უზუსტესად არის შემჯდარი ერთმანეთში. ეს პრინციპი მოქმედებს პოლიტიკური მოლაპარაკებების დროსაც: ჩინელები ყურადღებით აკვირდებიან არა მარტო თავის პარტნიორებს, არამედ ერთმანეთსაც. როცა ჩინელები ლაპარაკობენ

ბრძენი პოლიტიკოსების მოქმედებებზე მოლაპარაკების დროს, მათ უყვართ კონფუციის ციტირება, რომელმაც თქვა: „ბრძენის მოქმედება შეიძლება დავახასიათოთ ერთი სიტყვით. ეს სიტყვაა - ორმხრივობა“. პარტნიორების დელეგაციაში ჩინელები, ჩვეულებრივ, ცდილობენ იპოვონ ისეთები, ვინც გამოხატავს მათი მხარის სიმპატიას, და ამ ადამიანების საშუალებით ცდილობენ იქონიონ თავისი გავლენა მოწინააღმდეგე მხარის პოზიციაზე. მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთწოდებული „მეგობრობის სულის“ განვითარებას, ასევე პარტნიორებთან არაფორმალური ურთიერთობების დამყარებას. ამასთან, ისინი იჩენენ სტუმართმოყვარეობას, გულთბიანობას, გულწრფელ ინტერესს, არცთუ იშვიათად პირად ინტერესს. ჩინელები საერთოდ ძალიან სტუმართმოყვარეები არიან: სადილზე მათ შეიძლება შემოგთავაზონ ოცამდე კერძი და, რომ არ გაანაწყენოთ მასპინძლები, აუცილებელია თითოეული კერძის ცოტათი მაინც გასინჯვა. ჩინეთის დელეგაციისთვის საჩუქრების გაკეთებისას უნდა გვახსოვდეს, რომ სუვენირი უნდა მივუძღვნათ არა ცალკეულ თანამშრომელს, არამედ მთლიან დელეგაციას. ერთი სიტყვით, ჩინელებთან საქმის დაქერა მოლაპარაკებებზე არც ისე მარტივია: მათმა ძველმა კულტურამ გამოიმუშავა მოლაპარაკებების რთული სტრატეგიები გარე სამყაროსთან, რაც ქადრაკის თამაშს გვაგონებს.

სიჩუანის პროვინცია

სიჩუანის პროვინცია მდებარეობს ჩინეთის დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია შეიცავს რამდენიმე სახის ლანდშაფტს: ხედუანშანის მთებს, ცინბას მთიანი რაიონები, ცინხაის-ტიბეტური მთიანეთი, იუნგლის მთიანეთი. პროვინციის მიწები მნიშვნელოვნად დახრილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სიჩუანის ყველაზე მაღალ წერტილად ითვლება გუნშანის მწვერვალი, რომლის სიმაღლე 7550 მეტრია. ამგვარად პროვინციის რელიეფი მრავალფეროვანია. ლუნმენშანის მთები ყოფენ სიჩუანის ტერიტორიას ორ ნაწილად. პროვინციის დასავლეთით მდებარეობენ ჩუანსინანის დიდებული მთები და მთიანეთები, ხოლო აღმოსავლეთით ცნობილი სიჩუანის ღრმული.

გეოგრაფიული მხრიდან პროვინცია მდებარეობს სუბტროპიკულ სარტყელში. ამ ფაქტიდან გამომდინარე და იქიდან, რომ რეგიონის რელიეფი ძალიან არაერთფეროვანია, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კლიმატი ამ რეგიონში არაერთფეროვანი იქნება. თუ სიჩუანის აღმოსავლეთით კლიმატი მიახლოებით ნესტიანი სუბტროპიკულია, დასავლეთ მთიანეთში უფრო ცივა, ასევე პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც კლიმატი უახლოვდება ტუნდრის ზონის კლიმატს. რეგიონის კლიმატური პირობების ასეთი მრავალფეროვნება საკმაოდ საინტერესო გავლენას ახდენს არა მარტო რეგიონის სასოფლო-სამეურნეო განვითარებაზე, არამედ რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე ჯამში.

პროვინცია, უკვე დიდი ხანია წარმოადგენს ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ

მწარმოებლურ რეგიონს. დიდად განვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, აეროკოსმონავტიკა და სხვა. სამხედრო-თავდაცვითი მრეწველობის და მეცნიერულ-ტექნოლოგიური ასპექტებით პროვინციის პოტენციალს შეიძლება ვუწოდოთ სტრატეგიული ჩინეთისათვის.

ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ცნობილი ჩინური ჩაის ტრადიციები სათავეს იღებს სწორედ ამ ძველი პროვინციიდან. ისევე, როგორც შუს კულტურა, რომელიც არსებობდა პროვინციის ტერიტორიაზე ძველი დროიდან, ბას კულტურამ არანაკლები გავლენა იქონია სიჩუანზე, არამედ ჩინეთის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთზე. ჩვენი დროის ტურისტებს რეგიონში იზიდავს ადგილობრივი ტრადიციული ნაკეთობები, ხალხური ტრადიციები და უჩვეულო სოფლები, რომლებმაც წარსულის სული შეინარჩუნეს.

ამ პროვინციიდან იყო მთელ მსოფლიოში ცნობილი პიროვნება დენ სიაოპინი, რომელიც დაიბადა ამ მხარეში გასული საუკუნის დასაწყისში. მიწათმფლობელის ოჯახში. სწორედ სიჩუანში გაიზარდა ჩინეთის რესპუბლიკის კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

პროვინციის ღირშესანიშნაობებს შორის ცალკე უნდა ავლენიშნოთ ქალაქი ცინჩენშანი, ასევე, დუცზიანიანის ძველი პროტექნიკური ნაგებობა. სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებიდან, რომლებსაც უამრავი ტურისტი სტუმრობს არის (თივის ქოხი-დუ ფუ), მთავარსარდალი ჩუგე ლიანის სამარხი, სამი ულამაზესი ხეობა მდინარე იანძის ნაპირზე, ტერაკოტისაგან გაკეთებული მეომრების და ცხენების ქანდაკებების მუზეუმი და ლეიშანის დიდი ბუდა, რომელიც მდებარეობს ემეიშანის მთაზე.

სიჩუანის პროვინცია ცნობილია მთელ სამყაროზე, თავისი ცხარე კერძებით, რომლებშიც ბევრი

- სული სახელწოდება-პროვინცია სიჩუანი;
- დედაქალაქი-ჩენდუ;
- დიდი ქალაქები-ჩენდუ, იანი;
- მოსახლეობა-90 მილიონი;
- ფართობი-485 ათასი კვადრატული კილომეტრი.



ჩენდუ-სუბმმართველობის მნიშვნელობის ქალაქია ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში, პროვინცია სიჩუანის ადმინისტრაციული ცენტრი. მოსახლეობა-14,0 მილიონი ადამიანი მეხუთე მოსახლეობის რაოდენობით ჩინეთში. ქალაქის ემბლემაა უძველესი ოქროს დისკი (ოქროს მზის ჩიქის). ნაპოვნია 2001 წელს გათხრების დროს.



შანხაი



შანხაი (ჩინ.: 上海, Shànghǎi) მდებარეობს მდინარე იანძზე და ჩინეთის უდიდესი ქალაქია. შანხაი ქვეყნის უნიშვნელოვანესი კულტურული, კომერციული, ფინანსური, ინდუსტრიული და საკომუნიკაციო ცენტრია. ადმინისტრაციულად შანხაი ჩინეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტია, რომელსაც პროვინციის დონის სტატუსი აქვს. შანხაიში მდებარეობს ასევე მსოფლიოს ყველაზე დატვირთული საზღვაო პორტი სინგაპურისა და როტერდამის შემდეგ. თავდაპირველად ერთი მიყრუებული მეთევზეთა სოფელი, შანხაი ჩინეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქი გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. ეს იყო რესპუბლიკის პოპულარული კულტურის, ინტელექტუალური გაცვლისა და პოლიტიკური ინტრიგების ცენტრი. 1949 წელს კომუნისტების მოსვლის შემდეგ ქალაქის ცხოვრების რიტმი შენელდა ცენტრალური მთავრობის მიერ შემოღებული მძიმე გადასახადებისა და ბურჟუაზიული ელემენტების დევნის გამო. 1992 წელს მთავრობის მიერ საბაზრო-ეკონომიკური განვითარების კურსის აღმის შემდეგ შანხაი მყისვე ჰკრეფს სიჩქარეს და მალევე უსწრებს შენეუნსა და გუანჯოუს და ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ფორპოსტი

ჩინეთის ქალაქები

ხდება. 21-ე საუკუნის დასაწყისში შანხაის მთავარი მიზანი მისი მსოფლიო კლასის ქალაქის სტატუსის დაბრუნება და მის მოქალაქეთათვის კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნაა.

სახელწოდების შესახებ

ორი იეროგლიფი ქალაქის სახელწოდებაში (მარცხნივ) ნიშნავს "ზღვა-ზე". ადგილობრივად ის წარმოითქმის როგორც ზონ-ჰე ქალაქის სახელწოდების ყველაზე ადრეული წყარო სონის დინასტიიდან მოდის (მე-11 საუკუნე), რომელიც მდინარის პირას მდებარე სავაჭრო ქალაქს ერქვა. სახელის მნიშვნელობა დღემდე ისტორიკოსთა შორის კამათის საგანია, თუმცა ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით ის უნდა ნიშნავდეს "ზღვის ზემო მისაღწევს" (海之上洋). თუმცა მანდარინის ენაზე ის უნდა ნიშნავდეს "ზღვაზე გასვლას", რაც უფრო მისაღებია ქალაქის საზღვაო პორტის მდებარეობისთვის. ქალაქს მრავალი მეტსახელი ჰქონია წარსულში, მათ შორის "აღმოსავლეთის პარიზი", "აღმოსავლეთის დედოფალი", "აღმოსავლეთის მარგალიტი", და "აზიის ბოზი" კი (ეს უკანასკნელი 1920-30-იანი წლების კორუფციის, ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის მოზღვავების შედეგი იყო).

ისტორია

ქალაქის ფორმირებამდე შანხაის სონიანის პროვინციის (松江縣) ნაწილი იყო, სუჟუს პრეფექტურის (蘇州府) დაქვემდებარებაში. სონგის დინასტიის (960-1279) პერიოდში შანხაი თანდათან უფრო საქმიანი სავაჭრო პორტი ხდება და მის პოლიტიკურ იურისტიქიას აჭარბებს.

ქალაქის კედელი ჩვ.წ 1553 წელს აშენდა, რაც დღეს ქალაქის დაფუძნების თარიღად მიიჩნევა. თუმცა მე-19 საუკუნემდე შანხაი, ჩინეთის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებისგან განსხვავებით, რაიმე განსაკუთრებულ როლს არ ასრულებდა და ამგვარად აქ ჩინეთის ძველი კულტურის რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი არ არსებობს.

